საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2024 2018 წლის 30 ოქტომბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ნიუ ტექნოლოჯი 2014-ისათვის“ აღნაგობისა და იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს „ნიუ ტექნოლოჯი 2014-ს“ (ს/ნ: 405026859) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 2940 (ორი ათას ცხრაას ორმოცი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ თამარისში მდებარე 980.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №80.01.61.520).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) საქართველოს მთავრობას, შპს „ნიუ ტექნოლოჯი 2014-სა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2018

წლის 6 ივნისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული „ხრამი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის აშენება და ამავე მემორანდუმით განსაზღვრულ ვადაში ექსპლუატაციაში მიღება.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ნიუ ტექნოლოჯი 2014-ს“ (ს/ნ: 405026859) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ყოველწლიურად სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 1439 (ერთი ათას ოთხას ოცდაცხრამეტი) ლარის გადახდის პირობით, აღნაგობის უფლებით გადასცეს ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდებარე, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება, ასევე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით, ყოველწლიურად სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 38 (ოცდათვრამეტი) ლარის გადახდის პირობით, აღნაგობის უფლებით გადასცეს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე 160.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №80.01.61.519).

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს ამავე პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობას, შპს „ნიუ ტექნოლოჯი 2014-სა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული „ხრამი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის აშენების მიზნით.

5. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო

ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ნიუ ტექნოლოჯი 2014-ს“ (ს/ნ: 405026859) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით, ყოველწლიურად სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 86 (ოთხმოცდაექვსი) ლარის გადახდის პირობით, იჯარის უფლებით გადასცეს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ თამარისში მდებარე 480.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №80.01.61.521).

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

N	მისამართი	დანიშნულება	საკადატრო კოდი	მიწის ფართობი კვ.მ
1	მუნიციპალიტეტი ბოლნისი	არასასოფლო-სამეურნეო	80.01.61.517	430
2	მუნიციპალიტეტი ბოლნისი	არასასოფლო-სამეურნეო	80.01.61.518	5317
3	მუნიციპალიტეტი თეთრიწყარო	არასასოფლო-სამეურნეო	84.22.31.027	250